# ღებინება ჩვილებსა და ბავშვებში

## რჩევა მშობლებისა და მეურვეებისთვის ჯანდაცვის აღმასრულებელი სამსახურისგან (HSE)

წყარო: www2.hse.ie/conditions/vomiting-babies-children/

ბოლო ვერსია: 2023 წლის 13 აპრილი

mychild.ie

# ღებინება ჩვილებსა და ბავშვებში

ჩვილებისთვის ჭამის შემდეგ მცირე რაოდენობით ღებინება ნორმალურია.

დაუყოვნებლივ დაურეკეთ ოჯახის ექიმს, თუ თქვენს ბავშვს:

- ბოლო 24 საათის განმავლობაში, 3-ზე მეტი ღებინება ჰქონდა
- 3 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში აღებინებდა
- გაუწყლოვნების ნიშნები გამოუვლინდა
- საზღვარგარეთ მოგზაურობიდან ახლახან დაბრუნებულს, ჩვეულებრივზე მეტად აღებინებდა
- აქვს მაღალი ტემპერატურა — 38°C 3 თვემდე ასაკის ჩვილებში, ან 39°C 3 თვეზე მეტი ასაკის ჩვილებში
- აქვს მუცლის ძლიერი ტკივილი
- აქვს სისხლიანი, ყავისფერი ან მწვანე ნაღებინარი

**სასწრაფო დახმარებისთვის დაუყოვნებლივ 999-ზე დარეკეთ, თუ:**

- თქვენს ბავშვს თავის ტკივილი, კისრის გაშეშება, გამონაყარი და ღებინება აქვს.

## ბავშვის მოვლა, რომელსაც ღებინება აქვს

უმეტეს შემთხვევაში თქვენს ბავშვზე სახლში ზრუნვა შეგიძლიათ. შეგიძლიათ თხევადი პარაცეტამოლი მისცეთ, თუ მათ მაღალი ტემპერატურა ან კუჭის ტკივილი აქვთ.

ნუ ინერვიულებთ, თუ თქვენს ბავშვს ჭამა არ სურს. უფრო მნიშვნელოვანია, რომ მათ ბევრი სითხე დალიონ, როგორიც წყალი, ან ბულიონია. მათ ხილის წვენები და გაზიანი სასმელები მანამ არ მისცეთ, სანამ თავს უკეთ იგრძნობენ.

საბავშვო ხელოვნური კვების ნარევის შეზავება უსაფრთხო არ არის. ბოთლები ჩვეულებრივად მოამზადეთ და თქვენს პატარას დამატებითი წყალი ან სასმელი მიეცით, რძის საკვების გარდა.

## ჩვილები, რომლებიც ძუძუთი ან ხელოვნურ კვებაზე არიან

თუ თქვენი ბავშვი ჯერ კიდევ ძუძუთი ან ხელოვნურად იკვებება, მისი ნორმალური კვება გააგრძელეთ. თუ ბავშვს ძუძუთი კვებავთ, თქვენმა ბავშვმა ავადმყოფობის დროს,

ძუძუთი კვება შეიძლება უფრო ხშირად მოითხოვოს. ბავშვისთვის დამატებითი სითხის მიცემა საჭირო არ არის.

ავადმყოფი ბავშვის მოვლისას, დედის მიმართ მეტი მოთხოვნილებებია, მაქსიმალურად დაისვენეთ და ბავშვი ახლოს იყოლიეთ.

## გაუწყლოება

ღებინებამ შეიძლება თქვენი ბავშვის გაუწყლოება გამოიწვიოს. მნიშვნელოვანია, რომ მათ ბევრი სითხე დალიონ.

თქვენს ფარმაცევტს პერორალური რეჰიდრატაციის ხსნარის შესახებ ჰკითხეთ. თქვენი ბავშვი ექიმთან წაიყვანეთ, თუ შიშობთ, რომ მას გაუწყლოება აქვს.

ჩვილებსა და ბავშვებში მძიმე გაუწყლოების ნიშნებია:

- ნაკლები სველი საფენი
- ძილიანობა, ან ძნელად გაღვიძება
- ფერმკრთალი, ან ლაქებიანი კანი
- ცივი ხელ-ფეხი

> **მნიშვნელოვანია**
>
> თქვენი ბავშვი სასწრაფოდ უახლოეს საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებაში წაიყვანეთ, თუ მას ძლიერი გაუწყლოების ნიშნები გამოუვლინდება.

## მიზეზები

ღებინება შეიძლება ჩვეულებრივი ინფექციით იყოს გამოწვეული, როგორიც გასტროენტერიტია (ინფექციური დიარეა).

უფრო სერიოზული მიზეზები მოიცავს:

- ინფექციებს, როგორებიცაა მენინგიტი, პნევმონია და საშარდე გზების ინფექციები
- გასტროეზოფაგური რეფლუქსი
- რძის აუტანლობა ან საკვებისადმი ალერგია
- დაავადებები, რომლებიც გავლენას ახდენს ნაწლავებზე, როგორიცაა პილორული სტენოზი, ან ნაწლავების გაუვალობა
- ჩაჭედილი თიაქარი
- აპენდიციტი

**ოჯახის ექიმს დაურეკეთ ან სასწრაფოდ საავადმყოფოში წადით, თუ:**

- ფიქრობთ, რომ თქვენი ბავშვის ღებინება შეიძლება რაიმე სერიოზული მიზეზით იყოს გამოწვეული.

თქვენი ბავშვი სასწრაფო დახმარების უახლოეს განყოფილებაში მიიყვანეთ, თუ მას აქვს ტკივილი, რომელიც სწრაფად ძლიერდება და მუცელზე ვრცელდება.

## მოწამვლა

თუ ფიქრობთ, რომ თქვენმა ბავშვმა რამე მომწამლავი გადაყლაპა, დაუყოვნებლივ მოწამვლის საინფორმაციო ეროვნულ ცენტრში დარეკეთ.

**შხამების შესახებ საინფორმაციო ეროვნული ცენტრი**

(01) 809 2166
სამუშაო საათები: დილის 8-დან საღამოს 10-მდე (კვირაში 7 დღე)

არასამუშაო დროს, თქვენს საავადმყოფოს ან თერაპევტს მიმართეთ, რათა ზეგანაკვეთური დახმარება მიიღოთ.
გადაუდებელ შემთხვევაში 999-ზე დარეკეთ.

## ღებინების გავრცელება შეაჩერეთ

ღებინების ინფექციები ძლიერ გადამდებია.

თქვენი და თქვენი ბავშვის ხელები საპნითა და თბილ წყალში დაიბანეთ და კარგად გაამშრალეთ:

- ავადმყოფზე ზრუნვამდე და მის შემდეგ
- როცა ვინმეს ავადმყოფობის, ან დიარეის შემდეგ დაალაგებთ
- ტუალეტში ყოფნის, ან ბავშვისთვის ტუალეტში წასვლაში დახმარების შემდეგ
- ბავშვისთვის საფენის გამოცვლის შემდეგ
- ნედლი ხორცის, ნაგვის, ცხოველის, ან მათი განავლის დამუშავების შემდეგ
- ჭამამდე
- როცა ხელები ჭუჭყიანად გამოიყურება

თქვენ ასევე შეგიძლიათ:

- ზედაპირები სარეცხი საშუალებით და ცხელი წყლით კარგად გაასუფთაოთ
- საწოლის დაბინძურებული თეთრეული და ტანსაცმელი მაღალტემპერატურაზე გარეცხოთ
- გამოყენებული საწმენდი ეკიპირება გარეცხოთ, ან გადაყაროთ
- ავადმყოფებს საკვების მომზადების საშუალება არასდროს მისცეთ
- დარწმუნდით, რომ თქვენი ავადმყოფი ბავშვი, პირსახოცებს სხვებთან არასდროს იზიარებს

**მნიშვნელოვანია**

თქვენი ბავშვი სახლში გყავდეთ და იგი საბავშვო ბაღში, სკოლამდელ დაწესებულებაში, ან სკოლაში არ გაუშვათ, სანამ ბოლო ღებინების შემდეგ, 48 საათი გავა.